უფასო

ჩემი გაზეთი

30 მაისი
2019 წელი

№4 (41)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი

მზადება იმერეთის თეატრალური ფესტივალისთვის

29 მაისს ბაღდათის რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა ბაღდათის სახალხო თეატრის სპექტაკლის – ვუდი ალენის „მონას“ (რეჟისორი: გიგა მიქაძე) პრემიერა. სპექტაკლს ფესტივალ „თეატრალური იმერეთის“ წარმომადგენლები ესწრებოდნენ. პრემიერამ ბაღდათში წარმატებით ჩაიარა. ჩვენი თეატრალური დასი სპექტაკლს ფესტივალზე „თეატრალური იმერეთი 2019“ 6 ივნისს წარადგენს.

ბაღდათის სამუსიკო სკოლის წარმატებები

ბაღდათის ვალერიან ქაშაკაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის აღსაზრდელებმა ამიერკავკასიის ორსაფეხურიან კონკურსში „მომავლის ვარსკვლავებში“ მიიღეს მონაწილეობა. კონკურსი თორმეტი წელია ტარდება და წელს მასში 687 მოზარდი იყო ჩართული. პირველი – რეგიონალური ეტაპი, 26 მარტს ქუთაისში გაიმართა. ბაღდათიდან სამმა მონაწილემ: თამარ კარკაძემ, ლილე რობაქიძემ (მევიოლინე, პედაგოგი მარინა ხოტოველი) და იოანე ბაზანოვმა (ფორტეპიანო, პედაგოგი ნათელა ანდრიაძე) ჟიურის მოწონება დაიმსახურა და 2 აპრილს, თბილისის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ მეორე ეტაპზე მიიწვიეს. კონკურსანტებს ხუთკაციანი ჟიური აფასებდა. ჟიურის თავმჯდომარე ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნინო კუპატაძე გახლდათ.

ბაღდათიდან სამივე მონაწილემ წარმატებით გაიარა მეორე ეტაპი და დანარჩენ 68 კონკურსანტთან ერთად ივლისში, იტალიის ქალაქ პეზაროში გამართულ საერთაშორისო კუნკურსზე მონაწილეობის საგზური მიიღო.

20 აპრილს „მომავლის ვარსკვლავების“ მეორე ტურზე, რომელიც თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა, ბაღდათის სამუსიკო სკოლის აღსაზრდელებმა სენაკის არტ ფესტივალის წარმომადგენლების ყურადღება მიიქციეს. ისინი მიიწვიეს ქალაქ სენაკში აღნიშნულ ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად. სენაკის არტ ფესტივალი ყოველწლიურად ტარდება უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევითა და პიანისტ ვალერიან შიუკაშვილის ხელმძღვანელობით. მასში დასავლეთ საქართველოს რეგიონებში მოქმედი სამუსიკო სკოლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. წელს ფესტივალი 21 მაისს გაიმართა და ბაღდათის სამუსიკო სკოლიდან საორკესტრო (ვიოლინო) და საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლეები ჩაერთვნენ.

მევიოლინეთა ანსამბლმა (პედაგოგი: მარინა ხოტოველი) ფესტივალზე ლაურიატის წოდება მიიღო, ხოლო დანარჩენ მონაწილეებს ბაღდათიდან საპატიო დიპლომები გადაეცათ. ვალერიან შიუკაშვილის დიდი მოწონება დაიმსახურა დემურ გუმბერიძემ, რომელმაც, უბედური შემთხვევის შედეგად, თითი დაიზიანა, მიუხედავად ამისა, ის შესანიშნავად უკრავს ფორტეპიანოზე.

სენაკის არტ ფესტივალის გალა კონცერტზე, რომელიც 24 მაისს გაიმართა, გამარჯვებული 14 კოლექტივი მონაწილეობდა. ფესტივალის წარმომადგენლებმა ლაურიატები საზეიმოდ დააჯილდოვეს.

4 ივნისს, 15:30 საათზე, ბაღდათის სამუსიკო სკოლაში სავიოლინო კლასის კონცერტი გაიმართება. აქვე წარმოდგენილი იქნება მე-3 კლასის მოსწავლის მარიამ ჯიხვაძის ნახატები და ლილე რობაქიძის ლექსები.

„ჩემი გაზეთი“ წარმატებებს უსურვებს ბაღდათის სამუსიკო სკოლის ნიჭიერ აღსაზრდელებს.

აზა მაშანეიშვილი

ლიტერატურული ფესტივალი „მაიაკოვსკის კვალდაკვალ - ვაერთიანებთ მსოფლიოს“

მიმდინარე წლის 9-14 მაისს ბერლინში გაიმართა ლიტერატურული ფესტივალი „მაიაკოვსკის კვალდაკვალ - ვაერთიანებთ მსოფლიოს”, რომელსაც საფუძველი 2018 წელს ბაღდათში ჩაეყარა. ვ. მაიაკოვსკის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ფესტივალის ერთ-ერთი დამფუძნებელი ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიაც არის. ბერლინის ფესტივალი მიეძღვნა ბაღდათში დაბადებული გენიალური პოეტის, დრამატურგისა და მხატვრის ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედებას. გერმანიაში ფესტივალის ორგანიზატორების მიერ მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს ბაღდათის მუნიციპალიტეტის დელეგაციაც. კერძოდ, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და ვ. მაიაკოვსკის შემოქმედებასთან დაკავშირებული პირები (ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერი ა. გოგსაძე, ა.(ა).ი.პ. ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორი ვ. კვინიხიძე, ბაღდათის ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის მენეჯერი ბ. კუჭუხიძე, სამეცნიერო, სალიტერატურო და საერთაშორისო მიმართულების ხელმძღვანელი კ. კიკნაძე, სოლისტი (ტენორი) ბ. სახამბერიძე და კონცერტმაისტერი ც. კაიშაური). ფესტივალზე ასევე მიწვეული იყო ვლადიმერ მაიაკოვსკის მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმის დელეგაცია. სტუმრებს შორის იყვნენ ის პოეტები, მწერლები, მთარგმნელები, პუბლიცისტები, თეატრალური ჯგუფები, მუსიკოსები სხვადასხვა ქვეყნიდან, რომელთა მოღვაწეობა ვ. მაიაკოვსკის შემოქმედებასთან არის დაკავშირებული.

ფესტივალის ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა სახის აქტივობები: ლიტერატურული შეხვედრები, კონფერენცია, თეატრალური პერფორმანსი, კონცერტი და ა.შ. ბაღდათის დელეგაცია აქტიურად იყო ჩართული ფესტივალის პროგრამაში. კონსტანტინე კიკნაძემ ვლადიმერ მაიაკოვსკის საქართველოსა და ბაღდათში გატარებულ წლებზე, ბაღდათთან მაიაკოვსკების ოჯახის კავშირზე, ისაუბრა – გაიხსენა ბევრი უცნობი და საინტერესო დეტალი პოეტის ცხოვრებიდან. ასევე მოეწყო მაიაკოვსკის შემოქმედების თარგმანების განხილვა. შეხვედრებს უამრავი ადამიანი ესწრებოდა, რომლებმაც ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს არა მხოლოდ ბაღდათში არსებული მაიაკოვსკის მუზეუმისა და მისი საქმიანობის, არამედ მთლიანად მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის შესახებ. ზაალ ებანოიძისა და კონსტანტინე კიკნაძის თარგმანები (მაიაკოვსკის ლექსები და პოემები) გადაეცა ქართულ დიასპორასა და გუმბოლდის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომლებიც ქართულ ენას სწავლობენ. ბ. სახამბერიძემ და ც. კაიშაურმა თავიანთი შემოქმედება წარმოადგინეს ფესტივალის ფარგლებში გამართულ კონცერტზე, საღამოებსა და შეხვედრებზე.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ზოგიერთი საინფორმაციო საშუალების მიერ გავრცელებული იმ არასწორი ინფორმაციის შესახებ, რომ ბერლინში ბაღდათის დელეგაცია ანსამბლ „საირმე“-ს ნაცვლად გაემგზავრა: გერმანიაში გამართულ ლიტერატურულ ფესტივალს „მაიაკოვსკის კვალდაკვალ – ვაერთიანებთ მსოფლიოს“ არაფერი აქვს საერთო ბერლინში, 2018 წლის მაისში გამართულ მარცან-ჰელლესდორფის ტრადიციული სიმღერის ფესტივალთან, რომელშიც ა.(ა).ი.პ. ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლი „საირმე“იყო მიწვეული. წლევანდელ ბერლინის სიმღერის ფესტივალზე ანსამბლი მიწვეული არ ყოფილა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სამუშაოები დაიწყო

საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა კვლავ დაიწყო. მას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ახორციელებს. 2019 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის სულ გამოყოფილია 391 180 ლარი. აქედან 346 000 ლარი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ხოლო 45 180 ლარი თანადაფინანსების პრინციპით მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სამუშაოები დაიწყო. სოფელ პირველ ობჩაში გარე განათების ქსელის მონტაჟი მიმდინარეობს. 150 დიოდური სანათი, მოსახლეობის საერთო გადაწყვეტილებით, სოფელ პირველ ობჩაში განთავსდება. სამუშაოებს ინდმეწარმე "ბესიკ ზირაქაძე" ასრულებს. პროგრამის ფარგლებში, გარე განათების ქსელის მონტაჟის ჯამური ღირებულება 18 600 ლარს შეადგენს. აქედან 15 900 ლარი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყოფა, ხოლო 2700 ლარი მუნიციპალური ბიუჯეტიდან ფინანსდება.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარციხეში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ბეტონის გზის საფარი ეწყობა მახათაძეების, ფაშკურიძეების უბნებში და ცენტრალური სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე. შიდა საუბნო გზების მოსაწესრიგებლად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 14 000 ლარი, ხოლო ბაღდათის მუნიციპალიტეტდან 1500 ლარია გამოყოფილი, რომლითაც მხოლოდ სამშენებლო მასალები შეიძინეს, ხოლო სამუშაოებს კი სოფელ ვარციხის მოსახლეობა ასრულებს.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, სოფელ მეორე ობჩაში გარე განათების ქსელის მონტაჟი მიმდინარეობს. სოფელში 110 ერთეული დიოდური სანათი განთავსდება. სამუშაოებისთვის 15 700 ლარი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო, ხოლო 3000 ლარი – მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდველაში კი სასაფლაო შემოიღობა. პროექტის ფარგლებში, სამუშაოებისთვის 16 300 ლარია გამოყოფილი, რომლითაც 220 მეტრიანი ღობისთვის საჭირო მასალა შეიძენეს, სამუშაოებს კი ადგილობრივი მოსახლეობა შეასრულებს. სასაფლაოს შემოღობვა სოფელ დიდველაში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა (16 000 ლარი) და ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსებით (300 ლარი) განხორციელდა.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ წაბლარასხევში, დაფენილსა და ნერგეეთში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ბეტონის საფარის დასაგებად წაბლარასხევში რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 10 000 ლარი, ხოლო ბაღდათის მუნიციპალიტეტიდან 800 ლარია გამოყოფილი. სოფელ ნერგეეთში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციას რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი 20 000 ლარით, ხოლო მუნიციპალური ბიუჯეტი 800 ლარით აფინანსებს. რაც შეეხება დაფენილს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისთვის 6000 ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 1000 ლარი გამოეყო.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, სოფელ საიმედოში სანიაღვრე არხების კეთილმოწყობა მიმდინარეობს. რკინა-ბეტონის სანიაღვრეების მოსაწესრიგებლად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 10 000 ლარი, ხოლო ბაღდათის მუნიციპალიტეტიდან 500 ლარია გამოყოფილი.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანში, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ნატრიაშვილების უბანში 220 მეტრიან გზაზე რკინა-ბეტონის საფარი დაიგება. სამუშაოებისთვის 16 000 ლარი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ხოლო 3500 ლარი ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდანაა გამოყოფილი.

ეტაპობრივად, მსგავსი ტიპის სამუშაოები, ბაღდათის მუნიციპალიტეტის დანარჩენ სოფლებშიც დაიწყება.

მარიამ ოქროჭელიძე

ნიჭიერი თაობა

„ნიჭიერი თაობის" მაისის ნომრის სტუმარი კიდევ ერთი გამორჩეული და საამაყო ახალგაზრდა, მომავალი ექიმი, ავთო გოგნაძეა. ის დაიბადა 1996 წლის 24 ნოემბერს ქ. ბაღდათში. მალევე ოჯახი რუსეთის ფედერაციის ქალაქ პეტროზავოდსკში გადავიდა საცხოვრებლად, იმავე ქალაქში დადიოდა ბაგა-ბაღში, საჯარო სკოლაში მე-8 კლასის ჩათვლით იქ სწავლობდა. იყო წარჩინებული მოსწავლე, კლასის ჯგუფხელი და სკოლის თვითმართველობის ვიცე პრეზიდენტი. მიღებული აქვს სხვადასხვა ნომინაციის უამრავი სიგელი, მონაწილებდა ოლიმპიადებსა და კონფერენციებში. დაკავებული იყო სპორტით, ექვსი წელი კარატეში დადიოდა და ტურნირებში მონაწილეობისთვის მედლები აქვს მიღებული. შემდეგ ოჯახთან ერთად, დაბრუნდა საქართველოში და სწავლა ბაღდათის №2 საჯარო სკოლის მე-9კლასში გააგრძელა. სკოლაში სწავლისას აქტიურად იღებდა მონაწილეობას ეროვნულ ოლიმპიადებში. რუსულ ენასა და ლიტერატურაში საქართველოს მასშტაბით საუკეთესო ათეულის წევრი გახდა, ხოლო ბიოლოგიაში მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა. ეროვნულ ოლიმპიადაში გამარჯვებისთვის, მეთერტმეტე კლასში, ბაქსვუდის სამკვირიანი საგზურით დააჯილდოეს. ავთო ასევე იღებდა მონაწილეობას კერძო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ოლიმპიადებში: ბიოლოგიასა და ქიმიაში, სადაც მეორე და მესამე ადგილი აქვს მოპოვებული. სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. ეროვნულ გამოცდებზე მაღალი ქულები აიღო, 100%-იანი გრანტი მოიპოვა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ჩააბარა. ავთო აქტიური სტუდენტია. სხვადასხვა წელს იღებდა პრეზიდენტისა და საუნივერსიტეტო სტიპენდიებს. ამჟამად იგი მე-4 კურსზეა, აქტიურად გადის სამედიცინო პრაქტიკებს სხვადასხვა საავადმყოფოში და ასისტენტობას უწევს ქირურგებს. კონკრეტული სპეციალობა ჯერ არჩეული არა აქვს, მაგრამ მისი ინტერესის სფეროს ქირურგია წარმოადგენს.

აზა მაშანეიშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტსი ადგილობრივი განვითარების ოფიცერი ქუთაისის I საერთაშორისო ბიზნეს ფორუმზე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ოფიცერმა თინა აბულაძემ, ქუთაისის I საერთაშორისო ბიზნეს ფორუმის ფარგლებში, „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ევროკავშირის ინიციატივის სამდივნოს მიერ ორგანიზებულ პანელურ სესიაში მიიღო მონაწილეობა და პრეზენტაცია წარადგინა თემაზე, „ბაღდათის ადგილობრივი თვითმმართველობა მუნიციპალიტეტში ბიზნესის განვითარებისთვის". ისაუბრა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებზე, საჭიროებებზე, ხედვასა და ქმედებებზე, რომელიც დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული გამოწვევების დასაძლევად და ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. სესიას უძღვებოდა ევროკავშირის ინიციატივის კოორდინატორი საქართველოსა და აზერბაიჯანში, ზვიად არჩუაძე. პანელში მონაწილეობდნენ, ქართველი, ბელორუსი და მოლდოველი მუნიციპალიტეტების, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციისა და სავაჭრო სამრეწველო პალატის წარმომადგენლები. სესიის მიმდინარეობისას არაერთხელ აღინიშნა ბაღდათის მუნიციპალიტეტის წარმატებების შესახებ, პანელის დასრულებისას M4EG-ის პროექტის ჯგუფის ხელმძღვანელმა პიტერ კორსბმა, ბაღდათის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს თინა აბულაძეს, სამაგალითოდ აღიარებული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის დამადასტურებელი სერთიფიკატი გადასცა. სესიის შემდეგ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის და ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებმა ადგილობრივი ბიზნესის ხელშესაწყობად სამომავლო თანამშრომლობის შესახებ ისაუბრეს.

19 აპრილს ბაღდათის მუნიციპალიტეტში საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი" გაიმართა.რომელშიც 21 საჯარო სკოლის 75-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. ინტელექტ-ჩემპიონატის დაწყებამდე გოჩა ტყეშელაშვილმა, 2017-2018 სასწავლო წლის "ბაღდათის ეტალონ მოსწავლეს," ვახტანგ კიკნაძეს კიდევ ერთხელ მიულოცა გამარჯვება და სკოლის ღირსეული წარმოჩენისთვის ოქროს ფონდის წევრობის დამადასტურებელი დიპლომი გადასცა. დიპლომი გადაეცა ქალაქ ბაღდათის №2 საჯარო სკოლასაც „ეტალონი მოსწავლის" აღზრდისათვის.

„ბაღდათის ეტალონი მოსწავლე" მარიამ ვარდოსანიძე

ინტელექტუალური თამაშის ბოლოს გამოვლინდა „ბაღდათის ეტალონი მოსწავლე" – სოფელ დიმის №2 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე მარიამ ვარდოსანიძე. მეორე ადგილი სოფელ როკითის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ მარიამ ბრეგაძემ მიიღო, ხოლო მესამე – სოფელ როხის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლემ ელენე ბუბუტეიშვილმა დაისაკუთრა.

„ბაღდათის ეტალონი მოსწავლე" საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის გრანდიოზულ ფინალში მიიღებს მონაწილეობას.

ჩვენს ერთგულ მკითხველს გვინდა გავაცნოთ ნიჭიერი და საამაყო მარიამ ვარდოსანიძე.

გოგონა 2002 წლის 25 აგვისტოს ქალაქ რუსთავში დაიბადა.ერთი წელია, რაც საცხოვრებლად ბაღდათში გადმოვიდა. მარიამი აქტიურად მონაწილეობდა სასკოლო და ეროვნულ ოლიმპიადებში, სიგელები აქვს მიღებული ქართულ ენაში,გეოგრაფიასა და მათემატიკაში. თამაშობს ჭადრაკს, დაკავებული იყო სპორტით, კერძოდ – აკრობატიკით. წინა წლებშიც მონაწილეობდა ეტალონის კონკურსში, 2019 წლის აპრილში, იგი ბაღდათის მუნიციპალიტეტის ეტალონი-მოსწავლე გახდა. მარიამს უცხო ენების შესწავლის განსაკუთრებული ინტერესი აქვს, მისი თქმით, ამჟამად რუსულ და ინგლისურ ენებს კარგად ფლობს, ესპანური და კორეული ენების მე-2 დონის სერთიფიკატები აქვს მიღებული, სამომავლოდ კიდევ რამდენიმე ენის შესწავლა აქვს გადაწყვეტილი.

„ჩემი გაზეთი" წარმატებებს უსურვებს მარიამს.

აზა მაშანეიშვილი

მუზეუმის ისტორია საქართველოში

18 მაისი მუზეუმის საერთაშორისო დღეა, რომელიც მუზეუმების საერთაშორისო საბჭომ 1977 წელს საზოგადოების განვითარებაში მუზეუმის როლის გაცნობის მიზნით დააფუძნა.

„მუზეუმი“ ლათინური სიტყვაა და მუზათა ტაძარს ნიშნავს. ეს არის დაწესებულება, სადაც ხდება ხელოვნების ნაწარმოებთა შეგროვება, დაკომპლექტება, შენახვა, შესწავლა, ექსპონირება და პოპულარიზაცია. პირველი, ვინც განსაზღვრა მუზეუმის მხატრული მნიშვნელობა, იყო ფრანგი მხატვარი ჟაკ ლუი დავიდი. მან კონვენტის წევრთა წინაშე გამოსვლისას ისაუბრა მუზეუმის უდიდეს აღმზრდელობით დანიშნულებაზე.

მხატვრულ მუზეუმთა ისტორი იწყება XV-XVI სს-დან (ვატიკანის, უფიცის, ლუვრის პრადოს მუზეუმები, დრეზდენის სურათების გალერეა).

ასევე არსებობს ვიწრო სპეციალიზაციის მუზეუმებიც. მაგ: ხალხური შემოქმედების, თეატრალური, მუსიკალური, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, სახლ-მუზეუმი და სხვა ტიპის მუზეუმები.

მუზეუმები არის ყველა ქვეყანაში და, რა თქმა უნდა, საქარეთველოშიც. აქ ყველაზე დიდი და ძველი მუზეუმი არის „სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, რომელიც დაარსდა 1852 წელს კავკასიის მუზეუმის ბაზაზე.

აღნიშნულ მუზეუმში დაცულია არა მარტო საქართველოს, არამედ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ბუნების, ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის ამსახველი პირველხარისხოვანი ექსპონანტები, რომელთა რაოდენობა მილიონ ნახევარს აჭარბებს. მათ შორის აღსანიშნავია 1,8 მილიონი წლით დათარიღებული ევრაზიის უძველესი ბინადრის ოსტეოლოგიური მასალა და მათი გამოსახულებები.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მუზეუმი საქართველოში არის გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელიც გაშლილია ღია ცის ქვეშ (კუს ტბის გზატკეცილი), სადაც თავმოყრილია 70 საცხოვრებელი სახლი და სამეურნეო ნაგებობა. ისინი ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით არის განლაგებული. აქ ასევე წარმოდგენილია ისტორიულ-არქეოლოგიური და მატერიალური კულტურის ძეგლები.

საქართველოში ყველაზე ინოვაციური მუზეუმია ძეგლმუზეუმი „საქართველოს მატიანე“ – ისტორიულ-მემორიალური კომპლექსი ყეენის მთაზე, რომელიც მდებარეობს თბილისის ზღვის სიახლოვეს, თემქის დასახლებასთან.

ამ მუზეუმში ვიზუალურად არის ასახული საქართველოს განვითარების ერთიანი პროცესი უძველესი დროიდან-XXს-ის ჩათვლით. იდეის, კონცეფციისა და არქიტექტურ-მხატვრული შესრულების ავტორია მხატვარი და მოქანდაკე ზურაბ წერეთელი.

ეს მემორიალური კომპლექსი განიხილება როგორც XX-XXI საუკუნეების ტექნოლოგიური ხელოვნების ახალი მიღწევები.

მუზეუმები არ მოიცავს მარტო თბილისს, იგი მთელ საქართველოშია გაბნეული. ჩვენს ქვეყანაში წარმოდგენილია მრავალი განხრის მუზეუმი: სამხატვრო, ისტორიულ-არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, სახლ-მუზეუმების, მუზეუმები ღია ცის ქვეშ და ა.შ. გამონაკლისი არც ბაღდათის მუნიციპალიტეტია.

ჩვენს მუნიციპალიტეტში ყველაზე ცნობილი მუზეუმია ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის სახლ-მუზეუმი, რომელიც დაარსდა 1940 წელს. მაიაკოვსკი სახელობის მუზეუმი შედგება ორი ნაწილისაგან:

1. თვითონ სახლი, სადაც დაიბადა პოეტი;
2. განყოფილება, სადაც მისი შემოქმედებაა გამოფენილი.

აქვე არის ბაღდათის ეთნოგრაფიული მუზეუმი, სადაც ინახება ბაღდათის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არტეფაქტები.

ბაღდათში საგვარეულო მუზეუმების ნიმუშს წარმოადგენს ნაკაშიძეების საოჯახო მუზეუმი, რომელიც დააარსა ბატონმა შუქრი ნაკაშიძემ. აქ ინახება სხვადასხვა სახის იარაღი: დაწყებული ქვის ექსპონატებით, დამთავრებული XX ს-ით დათარიღებული თოფებით. აქვე ინახება ცხოველთა ტყავები, სხვადასხვა სახის სასმელი და ბევრი საინტერესო ნივთი.

თუ დაგაინტერესებთ საქართველოში არსებული მუზეუმების შესახებ მოკლე ინფორმაცია, შეგიძლიათ წაიკითხოთ ალექსანდრე ნონეშვილისა და ამირან თავართქილაძის წიგნი „საქართველოს 100 მუზეუმი“.

მუზეუმის როლი ადამიანის განვითარებაში განუზომლად დიდია. ისინი გვიყალიბებენ გემოვნებას, აფართოებენ ადამიანის თვალსაწიერს, ამიტომ ყველას გირჩევთ, შეძლებისდაგვარად, ესტუმროთ ამ მნიშვნელოვან მუზეუმებს.

ჯუანშერ გეგეშიძე

რობიზონ ლიპარტელიშვილის მუსიკალური ცხოვრება

სიმღერა „ღვინო კახურო“ ბაღდათელი კაცისთვის რობიზონ ლიპარტელიშვილთან ასოცირდება. მისი ომახიანი ხმით შესრულებული სიმღერები უმალვე იქცევს მსმენელის ყურადღებას. მუსიკის სფეროში ბატონი რობიზონის პირველი ნაბიჯები ბაღდათის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლს უკავშირდება, რომელიც 1971 წელს იურა ენდელაძემ ჩამოაყალიბა. შემდეგ ჩააბარა ქუთაისის მუსიკალურ სასწავლებელში. სწავლის პერიოდში ავთანდილ მაჭავარიანმა ქუთაისის ოპერის თეატრში მიიღო. მუსიკალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ქუთაისის კონსერვატორიაში ვოკალური განხრით, პარალელურად მუშაობდა ოპერის თეატრში. კონსერვატორიის დამთავრებისას საკურსო სპექტაკლის „დაისის“ ჩვენება თბილისში მოხდა. კომისიის თავმჯდომარე მსოფლიოში ცნობილი დირიჟორი ოდისეი დიმიტრიადი იყო. მას ძალიან მოეწონა ბატონი რობიზონი და დინტერესდა, თუ სად მღეროდა იგი. თბილისიდან დაბრუნებისთანავე იგი ქუთაისის ოპერის თეატრში სოლისტად გადაიყვანეს. აქედან მოყოლებული, 2013 წლამდე მუშაობდა ოპერის თეატრში, ასევე მღეროდა ბაღდათში, ანსამბლ „საირმეში“, რომელიც ბატონი რობიზონის იქ მუშაობის პერიოდში რამდენიმე ქვეყანაში იყო გასტროლზე: 1985 და 1989 წლებში იმყოფებოდნენ გერმანიაში, 1987 წელს უნგრეთში. ანსამბლი კონცერტებს მართავდა სხვადასხვა ქალაქში და დიდი მოწონებით სარგებლობდა.

ქუთაისის ოპერის თეატრში მუშაობისას ბევრი სასიმღერო პარტია აქვს შესრულებული. ამათგან შეიძლება გამოიყოს ზაქარია ფალიაშვილის სამი ოპერა: „აბესალომი და ეთერი“, „დაისი“ და „ლატავრა“; მელიტონ ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“; აღნიაშვილის „კაკო ყაჩაღი“ და ა.შ., რომელთაგან, მისი თქმით, ყველაზე რთული ჩაიკოვსკის „იოლანტა“ იყო. ამასთან დაკავშირებით, ჩვენთან საუბრისას, მან ერთი ამბავი გაიხსენა: „იოლანტას“ ჩაბარების დღეს ანსამბლ „საირმეს“ ჭიათურაში ჰქონდა გამოსვლა. სპექტაკლის დასრულების შემდეგ ისიც სასწრაფოდ უნდა შეერთებოდა გუნდს. მითუმეტეს, ყველა სიმღერაში, რომლებიც ანსამბლს უნდა შეესრულებინა, სოლო პარტიას რობიზონ ლიპარტელიშვილი ასრულებდა. ოპერის ჩაბარების დრომ გადაიწია, შესაბამისად, კონცერტზე იგვიანებდა. იმ დროს მივიდა ჭიათურაში, როცა ანსამბლი „საირმე“ სცენაზე გადიოდა. როდესაც მომღერლებმა თავიანთი სოლისტის დაინახეს, გახარებულები სცენაზე ხმაურით შევიდნენ და ჟიურის წევრების ყურადღებაც მიიქციეს. ჭიათურაში გამართულ ღონისძიებაზე ბაღდათმა I ადგილი დაიკავა.

ქუთაისის ოპერის თეატრმა დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ 4 სპექტაკლი წაიღო თბილისში საჩვენებლად. აქედან სამი მათგანის: „დიდოსტატის მარჯვენას“, „ქეთოს და კოტეს“ და „იოლანტას“ ერთ-ერთი სოლისტი ბატონი რობიზონი იყო.

ქუთაისის ოპერის თეატრიდან საქართველოს ფარგლებს გარეთ დასი მოსკოვში იმყოფებოდა გასტროლზე. 1983 წელს ჯანსუღ კახიძემ „ბორის როდიონოვის“ დადგმისას ქუთაისის ოპერის თეატრის მომღერლები მიიწვია თბილისში სხვადასხვა პარტიის შესასრულებლად და სწორედ ამ ოპერით გაემგზავრა ბატონი რობიზონი ოპერის დასთან ერთად მოსკოვში.

ბაღდათში ანსამბლ „საირმეს“ დაშლის შემდეგ ზურაბ ჩიქოვანმა ვოკალური ჯგუფი ჩამოაყალიბა, რომლის ერთ-ერთი წევრი ბატონი რობიზონი იყო. 2007 წელს ჯგუფი თურქეთში მიიწვიეს ფესტივალზე, საიდანაც საპრიზო ადგილით დაბრუნდნენ და, რაც მთავარია, დიდი მოწონება დაიმსახურეს.

ამჟამად ბატონი რობიზონი ა.(ა).ი.პ. ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლის – „საირმეს“ სოლისტია. ბოლო დროს ჯანმრთელობის მხრივ გაჩენილი პრობლემის მიუხედავად, ის ჩვეულებრივ აგრძელებს თავის საქმიანობას ანსამბლში და მკურნალობის პარალელურად აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ღონისძიებაში.

„ჩემი გაზეთი“ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს მას.

მარიამ ოქროჭელიძე

თვიდან თვემდე

* * *

9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღეა. ამ დღეს ბაღდათის მუნიციპალიტეტიც გამოეხმაურა. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე შალვა მშვილდაძე, მერის პირველი მოადგილე კახა ენუქიძე, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები სოფელ ობჩასა და დიდველაში მცხოვრებ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს – დავით ბურჯანაძეს, ნენე აგიაშვილსა და რენე ყიფიანს ესტუმრნენ და ფაშიზმზე გამარჯვების 74-ე წლისთავი მიულოცეს. მათ სამამულო ომის მონაწილეებს ტკბილეული და ფულადი დახმარება გადასცეს. იმ დღესვე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მეორე მსოფლიო ომის მონაწილის ვლადიმერ გუბელაძის ძეგლი გვირგვინით შეამკეს. ბაღდათის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელებმა ლიტერატურული პერფორმანსი მიუძღვნეს ფაშიზმზე გამარჯვების დღეს. ბაღდათის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში კი მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ფოტოების გამოფენა და ომის თემატიკაზე შექმნილი ფილმის „ღიმილის ბიჭების“ ჩვენება მოეწყო.

* * *

12 მაისი საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობის დღედ გამოცხადდა. ამ დღესთან დაკავშირებით 10, 11 და 12 მაისს, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ფოლკლორული კონცერტები გაიმართა.

10 მაისს, აღნიშნული დღესასწაულის ფარგლებში, ბაღდათის რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის სახლს ფოლკლორული ანსამბლი „ერთობა“ ეწვია და ქართული ხალხური სიმღერებითა და საგალობლებით დაატკბო ბაღდათელი მსმენელი. ანსამბლ „ერთობასთან“ ერთად ღონისძიებაში ბაღდათის სალოტბარო სკოლის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

გაგრძელება მე-4 გვ.

თვიერან თვალი

დასაწყისი მე-3 გვ.-ზე

* * *

14 მაისს ბაღდათის რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის სახლში მხიარულთა და საზრიანთა კლუბის ფინალი გაიმართა. ფინალში ერთმანეთს 4 სკოლა დაუპირისპირდა: ქალაქ ბაღდათის №2, სოფელ დიმის №1, როხისა და ვარციხის საჯარო სკოლები. თამაში ქალაქ ბაღდათის №2 საჯარო სკოლის გუნდის – „ჯოკერის“ გამარჯვებით დასრულდა. ერთნაირი ქულებით მეორე ადგილი დაიკავა სოფელ როხისა და დიმის №1 საჯარო სკოლის გუნდებმა. მესამე ადგილზე კი – სოფელ ვარციხის საჯარო სკოლის გუნდი გავიდა.

თამაშის ბოლოს სხვადასხვა ტიტული მიენიჭა რამდენიმე მონაწილეს: ჩემპიონატის „საუკეთესო მონაწილე“ ვაჟებს შორის გახდა თემო კბილაშვილი (დიმის №1 საჯარო სკოლა), ტიტული „თამაშის აღმოჩენა“ მიენიჭა ტატო ჟორჟოლიანს (დიმის №1 საჯარო სკოლა), „ჩემპიონატის ტიპაჟი“ გახდა დურუ კაცაძე (სოფელ როხის საჯარო სკოლა), ხოლო „ჟიურის სიმპათია“ – ნიკა გუმბერიძე (სოფელ ვარციხის საჯარო სკოლა).გამარჯვებულ გუნდს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიამ და საკრებულომ ფულადი ჯილდო გადასცა.

* * *

18 მაისი, მუზეუმის საერთაშორისო დღე, ყოველწლიურად აღინიშნება აქციით „ღამე მუზეუმში“. აქციის ფარგლებში, დღეს, საქართველოს თითქმის ყველა მუზეუმში, ღია კარის დღე ცხადდება და დამთვალიერებელს სრულიად უფასოდ გვიან ღამემდე მასპინძლობს. აქცია „ღამე მუზეუმში“ მიზნად ისახავს საზოგადოებაში მუზეუმების პოპულარიზაციას. აღნიშნულ ღონისძიებაში ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი და ეთნოგრაფიული მუზეუმი ყოველწლიურად ერთვება და მიმდინარე წელიც არ ყოფილა გამონაკლისი – დღევანდელი აქციის ფარგლებში, ბაღდათის მუზეუმებმა ვიზიტორებს გვიან ღამემდე უმასპინძლა და შესთავაზა კულტურულ-გასართობი ხასიათის ღონისძიება, რომლის მთავარი თემა ვლადიმერ მაიაკოვსკი და მისი შემოქმედება იყო.

* * *

კომპანია Travel agency – „Magic Group“ თორმეტი წელია ატარებს არტ ფესტივალს – „გაზაფხულის ფერები – კავკასიის თასი“ – ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლებისთვის. 18 მაისს ფესტივალს ბაღდათის რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის სახლმა უმასპინძლა და მასში მონაწილეობა თბილისის, რუსთავის, ბათუმისა და ქედის პატარა მოცეკვავეებმა მიიღეს. ფესტივალი თბილისის ფოლკლორის ცენტრის (სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი უშიკიშვილი) მომღერალ ვაჟთა და გოგონათა გუნდებმაც გაალამაზეს.

„აფხაზური“, „აჭარული“, „მთიულური“, „ყაზბეგური“... ათი სტუმარი ანსამბლი სცენაზე და სტუმრებით სავსე დარბაზი, აპლოდისმენტები და ემოციები ფოიერვერკის თანხლებით კონცერტის დასასრულს დაჯილდოებაზე... და გულწრფელი აღფრთოვანება და მადლობა მასპინძლებს, ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის თანამშრომლებს ფესტივალის სანიმუშოდ ჩატარებისთვის.

* * *

26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, ბაღდათის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ღონისძიებით აღინიშნა. ბაღდათის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარებული სპორტული ვიქტორინის შემდეგ, რომელშიც VII-IX კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ, საზოგადოებამ ხელოვნურსაფარიან მინი სტადიონზე გადაინაცვლა. აქ ინტელექტუალური თამაშის შედეგად გამოვლენილმა ყველაზე მაღალი ქულების მქონე ორმა გუნდმა მეგობრული მატჩი გამართა მინი ფეხბურთში. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს და პატივი მიაგეს მათ ხსოვნას. ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში კი მუსიკალურ-ქოროგრაფიული ღონისძიება გაიმართა. მასში ადგილობრივმა შემოქმედებითმა ჯგუფებმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა მიიღეს მონაწილეობა.

* * *

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში არქიმანდრიტ მაკარი აბესაძის ნუმიზმატური კოლექციისა და მორჩილ ირმა ბურჯანაძის ნამუშევრების (ნაქარგით შესრულებული ნახატები) გამოფენა გაიმართა.

გამოფენის ორგანიზატორები ბაღდათის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭო და ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ეგიდით შექმნილი ლიტერატურული სალონი „ჩაი სამოვარით“გახლდათ.

სპორტული ამბები

ნაიმატებული ასპიეზობა ჩოხატაურის საერთაშორისო ტურნირზე

13-15 მაისს, ჩოხატაურში, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართველ და ებრაელ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში ჩატარდა 2005-2007, 2008-2010 წლებში დაბადებულთა შორის. საერთაშორისო ტურნირზე ა.(ა).ი.პ. ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი 12 მოჭიდავით იყო წარმოდგენილი და მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწიეს.

სხვადასხვა წონით კატეგორიაში პირველი ადგილის მფლობელები გახდნენ: ბურჯანაძე დათო, თოლორდავა გიორგი,თოლორდავა მერაბი, აბულაძე გიორგი და გუმბერიძე გურამი.

მეორე ადგილზე გავიდნენ: ბურჯანაძე გიორგი, აბრამიშვილი გუგა და ფანგანი იგორი, ხოლო მესამე ადგილზე – ბურჯანაძე ემზარი და გიგაშვილი ამირანი.

გარდა ამისა, ბაღდათელმა სპორტსმენებმა პირველი ადგილი დაიკავეს საერთო გუნდურ ჩათვლაში.

ტურნირი არასამთავრობო ორგანიზაცია „შალომკლუბ გურიასა“ და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპოტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის მიერ გაიმართა FILA–ს მოქმედი წესებით.

დავით ყიფიანი

სამოყვარულო ლიგის გათამაშება ფეხბურთში

15 მაისს დაიწყო სამოყვარულო ლიგის გათამაშება ფეხბურთში ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების გუნდებს შორის.

პირველ დღეს, 15 მაისს, მეოთხედფინალის ოთხი შეხვედრა გაიმართა და ქულები ასე გადანაწილდა:

- როხი – ფერსათი 2-1
- დიმი – უკლება 2-1
- ბაღდათი – როკითი 2-1
- ობჩა – ვარციხე 1-1 პენ. 4-3

21 მაისს სამოყვარულო ლიგის გათამაშების ნახევარფინალები გაიმართა და ერთმანეთს ბაღდათი-როხი და დიმი-ობჩა დაუპირისპირდნენ. პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში ბაღდათმა როხი 2:1 დაამარცხა. დიმი – ობჩას მეორე ნახევარფინალური მატჩის ძირითადი დრო ფრედ, 3:3 დასრულდა, პენალტების სერიაში კი დიმმა 4:3 მოიგო და ფინალში გავიდა.

სამოყვარულო ლიგის გათამაშება ფეხბურთში ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების გუნდებს შორის 15 მაისს დაიწყო და 23 მაისს დასრულდა.

ფინალში ერთმანეთს ბაღდათისა და დიმის გუნდები დაუპირისპირდნენ. თამაში ბაღდათის გამარჯვებით 3:0 დასრულდა. ფინალისტი გუნდები ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ თასებითა და ფულადი პრიზებით დაჯილდოვდნენ: გამარჯვებულ ბაღდათის გუნდს 600 ლარი, ხოლო დიმს 400 ლარი გადაეცა.

გამარჯვებული გუნდი „ბაღდათი“ ივლისიდან რეგიონულ ტურნირზე განაგრძობს ასპარეზობას.

დავით ყიფიანი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი
საქართველო, ბაღდათი, ჯახიანის ქ. №3
ტელ: 595 538 536; 591 00 76 54
ელ ფოსტა: chemigazeti@gmail.com

რედაქტორი ანა ქორიძე
ტექნიკური რედაქტორი დავით ყიფიანი
„ჩემი გაზეთის“ გუნდი:
მარიამ ოქროჭელიძე, ანჟელინა ჭავჭანიძე,
აზა მაშანეიშვილი, ნინო სახამბერიძე,
ფოტო: ანა ფხალაძე

გაზეთი დაჯაბადონდა
ი/მ მამუკა ჭოლოაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორში“